საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №33

ქ.თბილისი 11.06.2019

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ქეთევან ქოქრაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

ნინო ლიპარტია - ა(ა)იპ - იურიდიული პროფესიის განვითარების ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს ადვოკატები დამოუკიდებელი პროფესიისთვის აღმასრულებელი დირექტორი, საბჭოს მდივანი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;

ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

სერგო ჭელიძე - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი, სამართალმცოდნეობის საბაკლავრო და სამართლის სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი;

ნიკოლოზ ჯავახიშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ხათუნა თოდაძე - სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ნარკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ანა ფირცხალაშვილი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი, სამართლის სკოლის პროფესორი, საჯარო მმართველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი;

მაკა ლაშხია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

გიორგი ქვარცხავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

დენიტა ბიბილეიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსი;

სალომე თოთიბაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის სტუდენტი;

თეა მჭედლური - საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის თელავის ფილიალის თავმჯდომარე, სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

თეა ნადირაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ქრისტინე აბულაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
ქრისტინე გაბისონია - ცენტრის საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის, საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაციის, სააპელაციო და პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოების სხდომებზე აუდიოჩაწერაზე პასუხისმგებელი პირი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი:
მარინა გედევანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ემირ ეთერია - პროგრამის თანახელმძღვანელი;
მამუკა თორია - პროგრამის ხელმძღვანელი;
კახაბერ კორძაია - რექტორი;

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი:
დავით ჩერქეზიშვილი - რექტორი;
ზვიად როგავა - ფაკულტეტის დეკანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის ხელმძღვანელი;
ეკა ლუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ზუხრა მაცაბერიძე - ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
რუსუდან ჩიქოვანი - ვიცე-რექტორი;

შპს ევროპის უნივერსიტეტი:
მაია ხურცილავა - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები:
სოფიო ხუნდაძე
დავით ქარცივაძე
დავით ბურჯანაძე
გიორგი დგებუაძე
ნინო კილასონია
ილია წიკლაური

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:03 საათზე. სხდომას ესწრებოდა საბჭოს 13 წევრი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ქეთევან ქოქრაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი

1. შპს კავკასიის საერთაშორისო თაუნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ,,სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

3. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ტექნიკური ცვლილების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დღის წესრიგთან დაკავშირებით არსებობდა თუ არა რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებული შუამდგომლობა წარმოდგენილ არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში 020307
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას მიმართა აცილების შესახებ შუამდგომლობაზე. საბჭოს წევრმა სერგო ჭელიძემ განაცხადა თვითაცილების თაობაზე, რადგან იგი საქმიანობდა აკრედიტაციის მაძიებელ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ დასკვნას იცნობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა ვასილ კიკუტაძემ ვერ მოახერხა საბჭოზე დასწრება, თუმცა სხდომის მიმდინარეობის პროცესში სურდა საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, შესაბამისად ის სატელეფონო ზარის მეშვეობით ჩაერთო.

ექსპერტი, ვასილ კიკუტაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას, ბოდიში მოიხადა არყოფნისათვის და აღნიშნა, რომ წინა აკრედიტაციის დროს ის იყო ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი და პროგრამის პროგრესი აშკარა გახლდათ. მისი თქმით, გარდა იმ კომპონენტებისა, რაც ექსპერტებს რეკომენდაციის სახით ჰქონდათ დასკვნაში ასახული, გაუმჯობესდა სხვა კომპონენტებიც. შესაბამისად, მოცემული რეკომენდაციების გარდა, მათ სხვა დამატებითი შენიშვნები აღარ გააჩნდათ. მისი აზრით, აღნიშნული პროგრამა იმსახურებდა აკრედიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს უფრო დეტალურად დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ერთი წლის წინ მიენიჭა ერთწლიანი პირობითი აკრედიტაცია, ექსპერტები გაეცნენ წინა დასკვნასაც და მისი განმარტებით, ვიზიტის დროს გაცემული ყველა რეკომენდაცია უნივერსიტეტის მხრიდან გათვალისწინებულ იქნა, პროგრამა შინაარსობრივად მნიშვნელოვნად დაიხვეწა, დაემატა სპეციალური სავალდებულო, არჩევითი სასწავლო კურსები, მოდიფიცირდა სასწავლო კურსების სახელწოდებები, სტატუსები, აქედან გამომდინარე, მან აღნიშნა რომ პროგრამის პროგრესი აშკარა იყო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა რომ უნივერსიტეტში ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შედგა 6 მაისს, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა ყველა დაგეგმილი ინტერვიუ, უნივერსიტეტმა უზრუნველყო სამუშაო გარემო, წარმოადგინა ექსპერტების მხრიდან მოთხოვნილი ყველა დამატებითი დოკუმენტაცია, ისინი გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს, შეამოწმეს ბიბლიოთეკაში სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობასთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ დასკვნის საფუძველზე მეორე სტანდარტი იყო მეტწილად შესაბამისობაში მოთხოვნებთან, პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი კი სრულად შესაბამისობაში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, რომლებიც ჟღერდა შემდეგნაირად:

1. რეკომენდებულია პროგრამის რამდენიმე კომპონენტზე (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები, პრაქტიკის კომპონენტი) დაშვების წინაპირობების დაზუსტება
2. რეკომენდებულია მოხდეს გარკვეული სასწავლო კურსების (გლობალური მარკეტინგის მენეჯმენტი, საერთაშორისო მარკეტინგი, აკადემიური წერა) სწავლის შედეგების დაზუსტება და გარკვეული სასწავლო კურსების/კომპონენტის (კვლევის მეთოდები, კორპორაციის ფინანსური მენეჯმენტი, კროს-კულტურული მენეჯმენტი, პრაქტიკა, საერთაშორისო ადამიანური რესურსების მართვა, საერთაშორისო მარკეტინგი) კომპეტენციის „ცოდნა და გაცნობიერება" მკაფიოდ ფორმულირება
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსს „საერთაშორისო ბრენდ მენეჯმენტი" დაემატოს მაგისტრატურის საფეხურისთვის შესაბამისი ლიტერატურა, რომელიც უკეთ უზრუნველყოფს სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას
4. სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტით უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდებულია მეტი თანამშრომლობის დამყარება ისეთ კომპანიებთან, სადაც შესაძლებელი იქნება საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხების პრაქტიკულად შესწავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენელი, მარინა გედევანიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. მან აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს, როგორც შარშანდელი დასკვნის რეკომენდაციები, ასევე, ავტორიზაციის საბჭოს წევრების რეკომენდაციებიც. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა დასკვნის მაღალკვალიფიციურობა და წარმოადგინა დაწესებულების პოზიცია რეკომენდაციებთან მიმართებით.

მისი განმარტებით, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების კურსთან დაკავშირებით, პროგრამას მოეხსნა წინაპირობა, შესაბამისად არ არსებობდა შეზღუდვა, რომ მხოლოდ ბიზნეს-ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები ჩარიცხულიყვნენ პროგრამაზე, თუმცა უნივერსიტეტი სთავაზობდა ისეთ არჩევით სასწავლო კურსებს, რომელთა გავლა შეეძლებოდათ როგორც „ბიზნესის-ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის, აგრეთვე სხვა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებსაც. მან აგრეთვე დაამატა რომ, არჩევითი სასწავლო კურსების შეთავაზებისას პროგრამის ხელმძღვანელები ატარებდნენ საინფორმაციო შეხვედრებს მაგისტრანტებთან და განუმარტავდნენ მათ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლოა რთული ყოფილიყო მისი გავლა, თუმცა ექნებოდათ ალტერნატივა აერჩიათ სხვა კურსი. სტრუქტურის მიხედვით, არჩევითი კურსების ჩამონათვალი იყო მრავალფეროვანი, თუმცა სხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის თანაბარი პირობების შექმნის მიზნით, მათ გაითვალისწინეს ექსპერტთა რეკომენდაცია და პირველი ორი კვირის განმავლობაში ჩასვეს საკითხები ფინანსური ანგარიშგებიდან, რაც აუცილებელი იყო სილაბუსით შემოთავაზებული დანარჩენი საკითხების შესასწავლად. პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებული რჩევები და რეკომენდაციები დაწესებულების წარმომადგენელმა დადებითად შეაფასა. მან აღნიშნა, რომ თავდაპირველად სამი სავალდებულო სასწავლო კურსის პარალელურად, მაგისტრანტების მიერ, პრაქტიკის გავლა პრობლემას არ წარმოადგენდა, თუმცა სემესტრის ზედმეტი დატვირთვის არიდების მიზნით, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება პრაქტიკა გადაეტანათ ბოლო, მე-4 სემესტრში, როცა სტუდენტები ასრულებდნენ სამაგისტრო ნაშრომებს და მიმდინარე პერიოდი აბსოლუტურად თავისუფალი ექნებოდათ, აღნიშნული გადაწყვეტილებით უნივერსიტეტი არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ. მესამე სემესტრში სტუდენტები დაასრულებდნენ ყველა სავალდებლო სასწავლო კურსს, მეოთხე სემესტრში გაივლიდნენ პრაქტიკას და შეასრულებდნენ სამაგისტრო ნაშრომს. პრაქტიკისთვის კვირაში გათვალისწინებული იქნებოდა მხოლოდ 5 საათი.

16:16 საათზე სხდომას შემოუერთდა ნინო ლიპარტია.

წინაპირობებთან და სწავლის შედეგებთან არსებულ რეკომენდაციებზე დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა სააკრედიტაციოდ შეიტანეს 9 იანვარს, ძველი საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფარგლებში, შესაბამისად სწავლის შედეგები განისაზღვრებოდა ექვსი კომპეტენციით და დაამატა რომ აკადემიურ პერსონალს ჰქონდა არგუმენტირებული მოსაზრება, რომ ეს კომპეტენცია გახლდათ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი და არა დარგობრივი უნარი. მან დაიმოწმა ექსპერტთა მოსაზრება, რომლის მიხედვით მსგავსი ტექნიკური უზუსტობები არ დააკნინებდა ამ სასწავლო კურსებით სწავლის შედეგებს და დასძინა, რომ გასწორდა ყველა ჩანაწერი, გაიგზავნა სილაბუსები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად და ჩამოყალიბდა სტრუქტურა, რომელშიც ნათლად ჩანდა თუ როგორ გადავიდა პრაქტიკა მესამე სემესტრიდან მეოთხე სემესტრშიც.

ექსპერტთა ერთადერთი რეკომენდაცია, რომელსაც უნივერსიტეტი არ დაეთანხმა ეხებოდა კროსკულტურული მენეჯმენტისა და ადამიანის რესურსების მენეჯმენტის სწავლების საკითხს, აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა პროგრამის ხელმძღვანელმა.
მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის წინაპირობად განსაზღვრული ჰქონდათ კროსკულტურული მენეჯმენტი, ექსერტთა რეკომენდაციის მიხედვით კი უნდა ყოფილიყო პირიქით, საერთაშორისო ადამიანური მენეჯმენტი განსაზღვრულიყო კროსკულტურული მენეჯმენტის წინაპირობად. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ კროსკულტურული მენეჯმენტი შეისწავლიდა მენეჯმენტის თავისებურებებს, კულტურულ,

ეთნიკურ, ეროვნულ თავისებურებებს, მენეჯმენტის მოდელებს, რომლებიც ფუნქციონირებდნენ სხვადასხვა ქვეყანაში. საერთაშორისო ანუ, ორ და მეტ ქვეყნებში ფუნქციონირებადი კომპანიები ადამიანური რესურსის მოზიდვის, შერჩევის, დაქირავების, მოტივაციის თუ სხვა საკითხების გადაწყვეტისას ფართოდ იყენებდნენ იმ სპეციფიკურ და თავისებურ ნიუანსებს, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყნისა და კულტურისთვის იყო დამახასიათებელი. მან მაგალითის სახით მოიყვანა იაპონური კომპანია „ტოიოტა", რომელიც იაპონელ მენეჯერებს სთავაზობდა რამდენიმე კვირიან მოსამზადებელ კურსს, სხვა ქვეყნებში გრძელვადიანი მივლინების შემთხვევაში. აღნიშნული კურსის ფარგლებში, ისინი სწავლობდნენ სამიზნე ქვეყნის კულტურულ და მენეჯმენტის ფილოსოფიის თავისებურებებს. მისი განმარტებით ამგვარ პრაქტიკას მიმართავდა ბევრი საერთაშორისო კომპანია, რადგან ადამიანური რესურსების მენეჯმენტში მართვის ფილოსოფია განსხვავებული იყო აშშ-ში, იაპონიაში, ევროპასა და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროგრამის ხელმძღვანელმა პროგრამის განმახორციელებსა და საგნის ხელმძღვანელებთან ერთად მიზანშეწონილად ჩათვალეს რომ კროსკულტურული მენეჯმენტი მიეთითებინათ საერთაშორისო ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სწავლების წინაპირობად. პროგრამის ხელმძღვანელის განცხადებით, მათ პოზიციას ამყარებდა ის ფაქტიც, რომ ანალოგიური საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის საგანმანათლებლო პროგრამა საზღვარგარეთის ქვეყნებშიც, მაგალითად ვილნიუსის უნივერსიტეტში ისწავლებოდა მსგავსი თანმიმდევრობით, კროსკულტურული მენეჯმენტი ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სწავლების წინაპირობად. აქედან გამომდინარე, უნივერსიტეტი დარჩა თავის პოზიციაზე და ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაიზიარა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უნივერსიტეტში ფინანსური უზრუნველყოფის საკითხით, იყო თუ არა თვითკმარი არსებული ფინანსები პროგრამის უზრუნველსაყოფად.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ შეფასდა და დადგინდა, რომ როგორც უნივერსიტეტს, ასევე ყველა ფაკულტეტსა და ფაკულტეტზე განხორციელებულ ყველა საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდა საკუთარი ბიუჯეტი. შესაბამისად, პროგრამას ფინანსური თვალსაზრისით პრობლემა არ უფიქსირდებოდა. მისივე განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის ბიუჯეტი დახმარებას მიიღებდა უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდანაც, მაგალითად პროფესორ-მასწავლებელთა დაფინანსების საკითხი და აღნიშნა ორი პროფესორის საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან. დაწესებულების წარმომადგენელმა, აგრეთვე, ისაუბრა საგრანტო სისტემაზეც, რომელიც მოქმედებდა ყველა პროგრამისა და ყველა პროფესორის ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტთა დასაქმების საკითხით, კურსდამთავრებულთა რამდენი პროცენტი საქმდებოდა პროფესიით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ზოგადი დასაქმების მაჩვენებელი იყო 70%, ხოლო კურსდამთავრებულთა დაახლოებით 46% საქმდებოდა პროფესიით, გასათვალისწინებელი იყო რომ მაგისტრანტთა უმრავლესობა სწავლას აგრძელებდა სადოქტორო პროგრამაზე, ხოლო მაგისტრანტთა ნაწილი დასაქმებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით პროგრამის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების საკითხით და ამ კუთხით პროფესორების ჩართულობით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს მიმდინარე პერიოდისათვის გაფორმებული ჰქონდა 60-ზე მეტი ხელშეკრულება უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებთან, ექსპერტები გაესაუბრნენ სტუდენტებს, მათი ნაწილი გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდა პოლონეთის

სხვადასხვა უნივერსიტეტში, ასევე აღინიშნა პროფესორების ჩართულობა „ერასმუსის“ გაცვლით პროგრამაში, რის საფუძველზეც სამი პროფესორი იმყოფებოდა შაულიეს, ალკალას, ლოძის უნივერსიტეტებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ყველა პარტნიორ უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამა ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულებით. აგრეთვე დასძინა, რომ აღნიშნული კუთხით კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მხრიდან ყველა პროფესორს ჰქონდა სრული ხელშეწყობა და მხარდაჭერა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა შემოწმდა თუ არა ექსპერტების მიერ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, რადგან სილაბუსში მითითებული იყო უცხოენოვანი ლიტერატურაც. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რადგან პროგრამა იყო ქართულენოვანი, მათ არ შეუმოწმებიათ სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის დონე, ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყო ინგლისურ ენაში სტუდენტის მიერ B2 დონის ფლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ მაგისტრატურის კანდიდატებისათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა გახლდათ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, შესაბამისი სერთიფიკატის წარმოდგენით ან საბაკალავრო პროგრამის დამთავრება უცხოეთის რომელიმე უნივერსიტეტში. გარდა ზემოთ აღნიშნული ორი შემთხვევისა, მაგისტრატურის სტუდენტებს უნდა ესარგებლათ უნივერსიტეტის ენების ცენტრით და გაევლოთ შესაბამისი დონის ტესტირება. ეს ნაშრომები ენების ცენტრში შეინახებოდა საჭირო პერიოდის განმავლობაში.

16:23 საათზე სხდომას შემოუერთდა სალომე თოთიბაძე.

საბჭოს წევრი, დენიტა ბიბილეიშვილი დაინტერესდა ახდენდა თუ არა უნივერსიტეტი სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმება და აღნიშნა, რომ ნოემბრის თვეში უნივერსიტეტმა გაიარა ავტორიზაცია და ამავე პროცესში იზრუნა პლაგიატის პროგრამაზეც, რომლითაც პლაგიატზე ამოწმებენ არა მხოლოდ სამაგისტრო, არამედ საბაკალავრო და სადოქტორო ნაშრომებსაც, ასევე თემატურ სემინარებს და კოლოქვიუმებს.

საბჭოს წევრი, ნატო გენგიური დაინტერესდა გაეცნენ თუ არა ექსპერტები სამაგისტრო ნაშრომებს და მათი მოსაზრებით რა დონეზე იყო ისინი შესრულებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ შეამოწმეს სამაგისტრო ნაშრომები და ჰქონდათ გარკვეული რჩევები ლიტერატურასთან დაკავშირებით, კერძოდ სამეცნიერო ლიტერატურის მითითება ნაშრომში. ასევე დაამატა, რომ ერთი წლის წინ განხორციელებული ვიზიტის შედეგად უნივერსიტეტში, დასკვნაში, ამ მიმართულებით, არსებობდა სერიოზული რეკომენდაციები. უნივერსიტეტმა იმუშავა აღნიშნულ საკითხზე და ექსპერტებს წარუდგინა განახლებული დებულება, რომელშიც მკაცრად იყო გაწერილი კვლევის მეთოდოლოგიებსა და ლიტერატურასთან დაკავშირებული მოთხოვნები, მისი განმარტებით, მას შემდეგ დაცვა არ განხორციელებულა, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა ახალი მოთხოვნების გათვალისწინებით დაცული ნაშრომები, მათ აღარ გაიმეორეს იგივე რეკომენდაცია და გარკვეული ნაწილი დააფიქსირეს რჩევებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე, დაამატა, რომ პროგრამა გახლდათ მოდიფიცირებული, ყველა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი იყო მინისტრის ბრძანების შესაბამისი და ფასდებოდა ერთჯერადად, მიუხედავად იმისა, რომ რეცენზირებას გადიოდა ყველა სამაგისტრო ნაშრომი, უნივერსიტეტს ჰყავდა შიდა და გარე რეცენზენტები, ისინი, სამაგისტრო ნაშრომების დაცვის

კომისიასთან ერთად სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესში ნაშრომს აფასებდნენ ერთჯერადად, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომით გათვლისწინებულ 30 კრედიტს სტუდენტები მიიღებდნენ დაცვაზე, ნაშრომის დადებით ქულაზე შეფასების შემთხვევაში.
სხდომის დასასრულს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლბლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა თეა ნადირაძემ განმარტების სახით აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამას 2018 წლის 11 ივლისს, №26 გადაწყვეტილების საფუძველზე მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლის ვადით, ასევე, მანამდე ეს პროგრამა არსებობდა აკრედიტებულ რეჟიმში. საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების საფუძველზე, 7 წლით აკრედიტაციის მინიჭება შეიძლებოდა მხოლოდ იმ პროგრამებისთვის, რომლებიც მანამდე იყვნენ აკრედიტებულნი ან ბოლო 2 წლის განმავლობაში ახორციელდებოდნენ ავტორიზებულ რეჟიმში. ეს პროგრამა მანამდე არსებობდა აკრედიტებულ რეჟიმში 5 წლის ვადით, შემდგომ 2018 წლიდან მიმდინარე პერიოდამდეც მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია, შესაბამისად, მიმდინარე დღეს კენჭისყრის დროს საკითხი უნდა დამდგარიყო აკრედიტაციის 7 წლიან ვადაზე.

შესვენება გამოცხადდა 16:32 საათზე

სხდომა განახლდა: 16:39 საათზე

საბჭომ იმსჯელა და ზეპირ სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესაბამისად, ჩათვალა, რომ ექსპერტთა მიერ დასკვნაში მეტწილად შეფასებული მე-2 სტანდარტი აეწია მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-11
წინააღმდეგი-0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 და მე-3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სამართლის მაგისტრი 06
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს საბჭოს წევრების მიმართ აცილების თაობაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურეინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშფასების ანგარიშს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შემუშავებულ არგუმენტირებულ პოზიციასა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპეტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს ესაუბრათ პროგრამასთან დაკავშირებით არსებულ დასკვნაში ასახულ გარემოებებზე.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე გიორგი დგებუაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ ექსპერტებმა შეაფასეს პროგრამა კონკრეტულ სტანდარტებთან მიმართებით იმ ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც არსებობდა უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ. მათი შეფასების მიზანი იყო არა მხოლოდ წარმოდგენილი ფორმალური დოკუმენტების შეფასება, არამედ ზეპირი მოსმენით იმ პრინციპული საკითხების გაანალიზება, რომლებზეც აგებული იყო თავად პროგრამა. საუბრის დასაწყისში ექსპერტთა თავჯდომარემ აღნიშნა, რა განხორციელდა უნივერსიტეტში პირველი აკრედიტაციის შემდეგ, წინა აკრედიტაციის შედეგად გაძლიერდა, როგორც აკადემიური პერსონალი, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამა მრავალი მიმართულებით, განსაკუთრებით, მემორანდუმებთან და პრაქტიკულ კომპონენტთან მიმართებით.

ექსპერტთა თავმჯდომარის აზრით, პირველ სტანდარტთან მიმართებით, პროგრამის მიზნები კარგად იყო ჩამოყალიბებული, განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სამართლის ფილოსოფიის საკითხს, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტს საჯარო, კერძო, სისხლის სამართლის სფეროს მიმართულებით თეორიული ცოდნის პრაქტიკასა და გამოყენებაში. სამართლის ფილოსოფიის მიზნებში კი ზოგადად გამოყო დასაბუთებისა და არგუმენტაციის უნარის განვითარება. პროგრამის მიზნები ექსპერტთა

მოსაზრებით, შეესაბამებდა მის რესურსებს, სტრატეგიულ გეგმასა და დარგობრივ მახასიათებლებს, ასევე, პროგრამა ითვალისწინებდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

ექსპერტთა თავმჯდომარემ პროგრამის მიზნებთან მიმართებით განაცხადა რომ სასურველი იქნებოდა თუ უნივერსიტეტი გამოყოფდა ძლიერ მხარეებს, სლოგანებს, გარემოებებს რათა მეტად მიეზიდა სტუდენტები.
ექსპერტთა აზრით, მისასალმებელი გახლდათ ის ფაქტი რომ უნივერსიტეტის დამსაქმებელთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე რამდენიმე კურსდამთავრებული უკვე იყო დასაქმებული.

16:56 საათზე სხდომას შემოურთდა საბჭოს წევრი ხათუნა თოდაძე.

ექსპერტთა თავმჯდომარემ აღნიშნა რომ უნივერსიტეტში არსებობდა პროგრამის შეფასების მექანიზმები და კურიკულუმის რუკის შედგენის მეთოდები. ასევე, დაამატა რომ უნივერსიტეტი იყენებდა პლაგიატის პროგრამას.

რჩევის სახით ექსპერტთა დავმჯდომარემ გააჟღერა რომ სწავლის შედეგებთან მიმართებით, სასურველი იქნებოდა სტუდენტთა ჩართულობის ზრდა ინტერნაციონალიზაციის პროცესში და აღნიშნული საკითხის მიმართ დაინტერესება გამოვლინდა უნივერსიტეტის მხრიდანაც, სწორედ ამ მიზეზით ექსპერტთა ჯგუფმა არ ჩათვალა საჭიროდ ეს რჩევა გადაეტანა რეკომენდაციების ნაწილში.

მეორე სტანდარტის მეორე ნაწილთან მიმართებით, რომელიც ეხებოდა მეთოდოლოგიას, ორგანიზებას და შეფასების ადეკვატურობას, ექსპერტთა აზრით, უნივერსიტეტს ჰქონდა მაგისტრანტთა მიღების სწორი პოლიტიკა. მაგალითისთვის არსებობდა აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები, შესაბამისი რუბრიკები, სადაც აღწერილი იყო თუ როგორი ცოდნის, უნარებისა და გამოცდილების მაგისტრანტის მიღება სურდა უნივერსიტეტს. თავმჯდომარის თქმით, მათ შეისწავლეს უნივერსიტეტის შეფასების სისტემა, სტრუქტურა შინაარსი და დაადგინეს, რომ ის შესაბამისობაში იყო საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებასთან.
ინტერვიუს შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს უნივერსიტეტის ხედვა, სტრატეგია და პოლიტიკა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.
ექსპერტთა თავმჯდომარემ რჩევის სახით აღნიშნა რომ პროგრამის მოქნილობის თვალსაზრისით სასურველი იქნებოდა სტრუქტურასა და შინაარსში ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერება და საჯარო, კერძო და სისხლის სამართლის მიმართულებით სტუდენტებათვის უცხოენოვანი საგნების თანაბრად არჩევის შესაძლებლობა.

ექსპერტთა თავმჯდომარემ საუბრისას არაერთხელ განმარტა თუ რატომ ჰქონდათ დასკვნაში პოზიცია დაფიქსირებული არა რეკომენდაციების, არამედ რჩევების სახით. ერთ-ერთი მაგალითი თუ რატომ იყო ზემოთ აღნიშნული რჩევის სახით მოცემული და არა რეკომენდაციის სახით, იყო ისიც, რომ პროგრამა არ იყო ინგლისურენოვანი და ინტერვიუების შედეგად მათ მიიღეს ინფორმაცია, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით მუშაობს, არის კონკრეტული შედეგები მაგრამ ისინი თვლიან, რომ სასურველია ამ კომპონენტის გაძლიერება და სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში მეტი ჩართულობა, ასევე გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი და კონკრეტული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი მოიცავდეს სპეციალიზირებულ საკითხებს. ექსპერტის თქმით, ისინი ითვალისწინებენ უნივერსიტეტის გარე პირობებს, რა პირობებშიც მას უწევს მუშაობა, მაგრამ კარგი იქნება თუ ის ამ მიმართულებით გადადგამს ნაბიჯებს, მაგალითად ისეთი სპეციალიზირებული საგნების

ფორმირებით როგორებიცაა სამშენებლო სამართალი, გარემოს დაცვის სამართალი, საპოლიციო სამართალი.
სასწავლო კურსებთან მიმართებით ექსპერტებს არ ჰქონიათ შინაარსთან კითხვები, სასწავლო კურსები მათი აზრით უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამას თან ერთვის კურიკულუმისა და სწავლის შედეგების რუკა, სადაც წერია რომელი კურსით რა სწავლის შედეგი მიიღწევა, ასევე სილაბუსებში მითითებულია უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენების აუცილებლობა, სადაც დაშვების წინაპირობად მითითებული არის ინგლისური ენის ცოდნა. რაც შეეხება რჩევას, ექსპერტთა მოსაზრებით, სასწავლო კურსი რაც უფრო სპეციალიზებული იქნება უფრო მეტად იქნება პროგრამა მოქნილი და კონკურეტუნარიანი სხვა უნივერსიტეტებთან მიმართებით. მისი თქმით, ეს გააქარწყლებს დუბლირების საშიშროებასაც, რაც რა თქმა უნდა ექსპერტებმა შეამოწმეს საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით.

შემდეგი რჩევა ეხებოდა დამსაქმებლებთან კომუნიკაციას, რომ მემორანდუმების ფარგლებში და დამსაქმებლებთან ურთიერთობისას უნივერსიტეტმა მიიღოს კონკრეტული ვიწრო სპეციალიზაციის მოთხოვნები დამსაქმებლისგან.

ექსპერტის მოსაზრებით, კარგი იქნება თუ სამივე მიმართულებით, კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის მიმართულებით თანაბრად იქნება უცხოენოვანი საგნები გადანაწილებული, მათი აზრით ეს იქნება უნივერსიტეტისთვის წინ გადადგმული ნაბიჯი.

ექსპერტებმა შეამოწმეს კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის მიზნები და შედეგები და თვლიან, რომ ისინი არის დაკონკრეტებული, თუმცა მათი აზრით, კარგი იქნება თუ უფრო მეტად მოხდება სპეციალიზაციის კუთხით მიზნებისა და შედეგების ხაზგასმა, რაც უზრუნველყოფს ინტერნაციონალიზაციის პროცესში სტუდენტების ჩართულობასაც. მან თქვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელებმა უნდა იზრუნონ უცხოენოვანი საგნების კომპონენტების გაძლიერებაზე. ასევე, მათ უნდა მიაწოდონ ინფორმაცია სტუდენტებს ინტერნაციონალიზაციის კუთხით უნივერსიტეტის შესაძლებლობებზე, რომელ ბაზებზე აქვთ წვდომა, სად გამოაქვეყნონ სტუდენტებმა სტატიები და ა.შ, რაც გამოიწვევს სტუდენტების ჩართულობასაც პროცესში.
ცალკეული სასწავლო კურსი, საკითხებთან ერთად, ორიენტირებულია სასამართლო პრაქტიკის შესწავლაზე. ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა პერსონალის სამეცნიერო კვლევითი დატვირთვის ანაზღაურების სქემა, რომელიც პროპორციულად ახალისებდა პერსონალის საქმიანობას.

ექსპერტმა რჩევის სახით დაამატა, რომ სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს ემუშავა ე. წ კვლევითი სემესტრების მიმართულებითაც, როცა აკადემიური პერსონალი არ იქნებოდა დაკავებული ლექციების წაკითხვით და დაკავდებოდა მხოლოდ კვლევითი ნაწილით, რომელშიც ჩაერთვებოდა სტუდენტიც. ეს დაეხმარებოდა უნივერსიტეტს უფრო მეტად სპეციალიზირებული საგნის შემუშავებაში, პრაქტიკის შესწავლაში და შესაბამისად ეს კვლევითი სემესტრები მრავალი მიმართულებით წაახალისებდა, როგორც აკადემიურ პერსონალს ისე სტუდენტებს. ექსპერტთა თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენციები და ღონისძიებები ყოფილიყო უფრო სპეციალიზირებული, მაგალითად ადამიანის უფლებების და თავისუფლებების შესახებ კონფერენცია სპეციალიზირებულიყო თუნდაც სამშენებლო, გარემოს დაცვის სამართლის პრობლემებზე, რაც მეტად დაეხმარებოდა პროგრამას კონკრეტული შედეგების მიღწევაში.

ექსპერტთა მოსაზრებით, დადებითი შედეგის მომტანი იქნებოდა უნივერსიტეტის მიერ კომუნიკაციის გაძლიერება დამსაქმებლებთან, მემორანდუმების ფარგლებში, ასევე, თავად უნივერსიტეტის მიერ დამსაქმებლისათვის კონკრეტული მიმართულების სპეციალიზირებული სტუდენტის შეთავაზება, დაეხმარებოდა სტუდენტს მიღებული ცოდნის რეალიზებაში.
ექსპერტთა თავმჯდომარემ მნიშვნელოვნად მიიჩნია სტუდენტის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა, ისინი დაშვებული შეცდომების შესახებ იღებდნენ კონკრეტულ პასუხებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტთა თავმჯდომარეს სთხოვა ყურადღება გაემახვილებინა განსაკუთრებულ რეკომენდციებზე და რჩევებზე.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურებას და ამ მიმართულებით აკმაყოფილებდა სტანდარტს, თუმცა უმჯობესი იქნებოდა თუ ის იმოქმედებდა ერთი ფანჯრის პრინციპით და უზრუნველყოფდა საკომუნიკაცო სისტემას სტუდენტსა და ლექტორს შორის.

მომდევნო რჩევა ეხებოდა აკადემიურ პერსონალის გარდა სხვა სპეციალისტების მოწვევას, ვიწრო სპეციალიზაციის კუთხით, რომლებიც დაეხმარებოდნენ მაგისტრანტებს კონკრეტული საკითხების დამუშავებაში. მაგისტრანტების გამოკითხვების შედეგად აღნიშნული პრობლემა არ ფიქსირდებოდა, თუმცა თუ აკადემიური პერსონალი პირდაპირი წესით ვერ უზრუნველყოფდა ვიწრო სპეციალიზაციის სპეციალისტის მოწვევას, სასურველი იქნებოდა თანახელმძღვანელების დანიშვნა, რომლებიც ამ კუთხით იქნებოდნენ მომზადებულნი.

ადამიანურ რესურსებთან მიმართებით ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ უნივერსიტეტში არსებული პერსონალი საკმარისი იყო სტუდენტების რაოდენობის პროპორციულად და დაკომპლექტებული გახლდათ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით და ეს სინთეზი იძლეოდა კარგ შედეგებს. რჩევის სახით კი დაამატა, რომ სასურველი იქნებოდა შიდა გრანტების სისტემის გაძლიერება, ეს აკადემიურ პერსონალს მისცემდა მეტ შესაძლებლობას შიდა გრანტების მისაღებად.
ექსპერტთა განმარტებით, უნივერსიტეტი მუშაობდა მოწვეული პერსონალის განვითარების მიმართულებით, განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, კონფერენცია, სემინარი, საჯარო ლექცია აღნიშნული საკითხის შესახებაც, მათ ჰქონდათ იგივე რჩევა, გაძლიერებულიყო შიდა გრანტების სისტემა და კვლევითი სემესტრები.

ექსერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა მატერიალური რესურსები, კომპიუტერული აუდიტორიები, სასწავლო სივრცე, ბიბლიოთეკა და ა. შ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს, რჩევის სახით კი დაამატა, რომ ბიბლიოთეკის მეტად გაფართოვება უფრო მეტ თავისუფალ სივრცეს შექმნიდა სტუდენტებისათვის და აგრეთვე სტუდენტებს ბაზაზე წვდომა უნდა ჰქონოდათ არა მხოლოდ აღნიშნული ბიბლიოთეკიდან, არამედ უნივერსიტეტის გარეთაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტების რეკომენდაციებსა და რჩევებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების უფროსი და ამავდროულად სამართლის პროგრამის თანახელმძღვანელი, მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მათთან მუშაობა და თანამშრომლობა იყო საინტერესო გამოწვევა და გამოცდილება.

დასკვნაში ასახულ რჩევებთან მიმართებით კი განაცხადა რომ, დაწესებულების მიერ თავიდანვე იყო იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეები, რაც დაემთხვა გარე ექსპერტების შეფასებებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებებსაც, ეს ადასტურებდა უნივერსიტეტის მხრიდან სწორი მიმართულებით სვლას. იმ ნაწილში რაზეც დაწესებულების მხრიდან არ იყო გამახვილებული ყურადღება და ექსპერტთა მიერ დასკვნაში დაფიქსირებულ რჩევებს კი უნივერსიტეტი გაითვალისწინებდა მომავალში და ეს იქნებოდა ორიენტირი პროგრამის განვითარებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობა იყო ინგლისური ენა, თუმცა ზოგიერთ სილაბუსში, მაგალითად საერთაშორისო კერძო სამართლისა და შედარებითი კერძო სამართლის შემთხვევაში, ძირითად და დამხმარე ლიტერატურაში მითითებული არ იყო არცერთი უცხოენოვანი ლიტერტურა. გარდა ამისა, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მითითებულ ლიტერატურაში მაგისტრანტებისათვია რიგი საკითხები არ იყო ამომწურავად განხილული. მან ასევე რჩევის სახით დაამატა, რომ სილაბუსის კონსტრუქცია სწორად არ იყო აგებული, კერძოდ ვალდებულებითი სამართლის საკითხები წინ უსწრებდა შესავალი სამოქალაქო სამართლის საკითხებს, შესაბამისად სასურველი იქნებოდა ამის გასწორება. ლიტერატურასთან მიმართებით კი აღნიშნა, რომ ევროპასა და ამერიკაში ბოლო წლების განმავლობაში, საერთაშორისო კერძო სამართლის და შედარებითი კერძო სამართლის მიმართულებით გამოვიდა ბევრი ახალი ლიტერატურა, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ინტერნეტში და შესაძლებელი იყო შეძენაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სილაბუსის ფორმირებაში პასუხისმგებელი პირველ რიგში იყო პროფესორი და ცენტრალიზებული ჩარევა მისი აზრით არ იქნებოდა მართებული, ისინი გადასცემდნენ შენიშვნებს პროფესორს რომ ამ მიმართულებით მეტად ემუშავა.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ პატივისცემა დააფიქსირა უნივერსიტეტისა და მათი წარმომადგენლების მიმართ და წარმოადგინა რამდენიმე შენიშვნა სილაბუსებთან დაკავშირებით. მისი თქმით, თითქმის ყველა კერძო სამართლის სილაბუსში ლიტერატურის ნაწილში მითითებული იყო არა ახალი, არამედ 2001 წლის სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, აგრეთვე სადაზღვეო სამართლის სილაბუსში ძირითადი წყარო იყო 1998 წლის სილაბუსი და 2001 წლის სამოქალაქო კოდექსი, მაშინ როდესაც უკვე გამოსული იყო ახალი კომენტარი, რომელიც ხემისაწვდომი გახლდათ საჯაროდ. საბჭოს წევრი დაინტერესდა დააფიქსირეს თუ არა ექსპერტებმა რაიმე რჩევა ამასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ეს აგრეთვე ეხებოდა საბანკო, სადაზღვეო, მოთხოვნის უზრუნველყოფის და კერძო სამართალთან დაკავშირებულ ყველა სილაბუსს, თითოეულ ზემოთ აღნიშნულ სილაბუსში ძველი ლიტერატურა იყო მითითებული.

ექსპერტთა თავმჯდომარემ განმარტა, რომ თავად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი გახლდათ ახალი კოდექსის კომენტარის ავტორები, შესაბამისად ზემოთ აღნიშნული საკითხი ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია არა არსებით დარღვევად, არამედ ტექნიკურ ხარვეზად და თუ საბჭო ამას მიიჩნევდა ხარვეზად შესაძლებელი იქნებოდა ამ საკითხის რეკომენდაციებში გადატანაც. აგრეთვე მან დაამატა რომ სხვა რიგ სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა სრულებით აქარწყლებდა ზემოთ აღნიშნულ ტექნიკურ ხარვეზს. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დააზუსტა რომ თუ სილაბუსი იქნებოდა მთლიანად დახარვეზებული მაშინ აუცილებლად გამოყოფდნენ ამ გარემოებას, მაგრამ რადგან სამოქალაქო კოდექსის კომენტარის თანაავტორი იყო უნივერსიტეტის აკადემური პერსონალი, არსებითად აღარ მიიჩნიეს აღნიშნული ლიტერატურის მიუთითებლობა.

საბჭოს წევრმა ნინო ლიპარტიამ დააზუსტა, რომ ამ შემთხვევაში ხელმძღვანელმა გადაწყვიტა საკუთარი ლიტერატურის მიუთითებლობა სილაბუსში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის განახლება მუდმივად მიმდინარეობდა, ხოლოდ გამოდინარე იქედან, რომ ამ კომენტარის თანაავტორი იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ზემოთ აღნიშნული პრობლემა მალე გამოსწორდებოდა და შემდეგ სემესტრში ხელმძღვანელები მიუთითებდნენ უახლესს ლიტერატურას.

საბჭოს წევრმა, ნინო ლიპარტიამ აღნიშნა რომ კერძო სამართლის ორი საგნის: ,,საბანკო სამართალი საბანკო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა" და ,,სადაზღვეო სამართალი სადაზღვეო ხელშეკრულებათა შედგენის მეთოდიკა" სილაბუსებში არ იყო მითითებული არც დავალება, არც შეფასება და არც პრაქტიკული ასპექტები, ასევე არ იყო ხაზგასმული ხელშეკრულების შედგენის ნაწილი. აგრეთვე მან დაამატა, რომ მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის სილაბუსი, საბანკო და სადაზღვევო სამართლის სილაბუსები სამაგისტრო საფეხურის სტუდენტებისთვის წარმოადგენდა იმ სილაბუსების დუბლირებას, რაც მათ ბაკალავრიატის პერიოდში გაიარეს და სილაბუსების მიხედვით ამ ორ საფეხურს შორის განსხვავება არ ფიქსირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ არც საბანკო და არც სადაზღვევო სამართალი მათ ბაკალავრიატის საფეხურზე არ ჰქონდათ, თუმცა ნინო ლიპარტიამ აღნიშნა რომ ფიქსირდებოდა ისეთი შემთხვევებიც როდესაც სწავლის გასაგრძელებლად მოდიოდნენ ისეთი სტუდენტებიც, პიროზითად თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, რომლებსაც უკვე აქვთ გავლილი ჰქონდათ აღნიშნული საგნები.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სწორედ აღნიშნული შემთხვევებისათვის კეთდებოდა აქცენტი პრაქტიკულ კომპონენტზე, შუალედური გამოცდის შემდეგ იწყებოდა პრაქტიკული კომპონენტები და შეფასებაშიც იყო წარმოდგენილი პრაქტიკული დავალებები. მან აგრეთვე დაამატა, რომ პროგრამა შეიქმნა ახალი სტანდარტების შესაბამისად და ყველა შედეგის მისაღწევად გამოიყენებოდა შესავალი კურსები, განმავითარებელი კურსები და შემდეგ მასტერ კურსები, აგრეთვე სილაბუსებში შეტანილი იყო გარკვეული სიახლეები და ყველა შედეგი იყო აბსოლუტურად გაზომვადი. მან დაამატა, რომ სილაბუსებში მოცემული იყო შესაბამისი რუკა, რომლის მეშვეობითაც იზომებოდა შედეგები, საბჭოს წევრების მიერ დასახელებულ ორივე სილაბუსში კი პირველი 6 კვირა მითითებული იყო თეორიული საკითხები, შემდეგ გრძელდებოდა პრაქტიკული საკითხებით. პრაქტიკული დავალება კი სრულდებოდა ფინალურ გამოცდაზე სტუდენტების მიერ.

ნინო ლიპარტიამ აღნიშნა რომ შეფასების ნაწილში, სილაბუსში იყო ღია კითხვა -კაზუსი, რომელიც მითითებული იყო როგორც პრაქტიკული დავალება. ხელშეკრულებას მითითებული სილაბუსით სტუდენტი არ წერდა. მაგალითად, სადაზღვეო სამართალში, გადაზღვევის სამართლებრივი რეგულირება მოცემული იყო მე-13 კვირაში, სადაც ძირითადი ლიტერატურა იყო ცისკაძის 2001 წლის სტატია და სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, აგრეთვე სამედიცინო მომსახურების დაზღვევა, აღნიშნულ სილაბუსებში ხელშეკრულების შედგენის ნაწილი მითითებული არ იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა რომ ფინალური გამოცდა შედგებოდა ღია კითხვისა და პრაქტიკული დავალებისაგან, თუმცა ნინო ლიპარტიამ დააზუსტა რომ თუ პრაქტიკულ დავალებაში იგულისხმებოდა ხელშეკრულების შედგენა მითითებას საჭიროებდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკული დავალებები, რომლებიც მითითებული იყო რამოდენიმე რუბრიკაში იწყებოდა 6 კვირის შემდეგ, ანუ სტუდენტები მუშაობდნენ ხელშეკრულებათა შედგენაზე და ფინალურ გამოცდაზეც აბარებდნენ ორ პრაქტიკულ გამოცდას.

საბჭოს წევრი ანა ფირცხალაშვილი დაინტერესედა როგორ ხდებოდა სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის არჩევა უნივერსიტეტში, და რა გზებს მიმართავდა უნივერსიტეტი, თუ სტუდენტის მიერ არჩეული თემატიკის შესაბამისი პროფესორი მას არ ჰყავდა. აქვე მან ჰკითხა ექსპერტებს გაეცნენ თუ არა სამაგისტრო ნაშრომებს და აკმაყოფილებდა თუ არა ისინი სტანდარტებსა და დაცული იყო თუ არა აკადემიური სტილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თუ უნივერსიტეტს არ ჰყავდა რომელიმე თემატიკის უშუალო სპეციალისტი, ის ცდილობდა უზრუნველეყო ხელმძღვანელის ან თანახელმძღვანელის მოწვევა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ გაეცნენ სამაგისტრო ნაშრომებს და ისინი სრულად აკმაყოფილებდნენ შეფასების შედეგად მინიჭებული ქულის სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა რომ ,,ადამიანის ძირითადი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმების" სილაბუსში მითითებული იყო კონსტანტინე კუბლაშვილის 2017 წლის წიგნი, რომელიც აგებული იყო ძველ კონსტუტიაციაზე, ხოლო რადგან კონსტიტუცი შეიცვალა 2018 წლის ბოლოს, უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ურჩია განეახლებინათ ლიტერატურა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ იქნა რამოდენიმე თვის წინ და შესაბამისად სილაბუსებზე მუშაობა მიმდინარეობდა უფრო ადრე, აკრედიტაციის პერიოდში ვერ მოხერხდებოდა ლიტერატურის განახლება, თუმცა აუცილებლად მოხდებოდა უახლესი ლიტერატურით ჩანაცვლება პროგრამის შემდგომი განვითარებისას. ასევე დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ აღნიშნული პროგრამა მუშაობას დაიწყებდა ახალი სასწავლო წლიდან და თითოეული პროგრამა ხელახლა გადაიხედებოდა.

საბჭოს წევრი სერგო ჭელიძე დაინტერესდა როგორ ხდებოდა იურიდიული ეთიკის კურსის წაყვანა, რომლის სილაბუსშიც ჩართული იყო ოთხი პროფესორი, აგრეთვე სთხოვა დაწესებულებას განემარტა რა განსხვავება იყო პრაქტიკის კომპონენტში მითითებულ იურიდიულ კლინიკასა და პრაქტიკული სამართლის კლინიკას შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ პროფესიული ეთიკის სილაბუსში ჩართული იყო ოთხი პროფესორი: ხათუნა ნადიბაიძე, რომელიც კითხულობდა სამოსამართლო ეთიკას, ლევან ჯანაშია - საადვოკატო ეთიკას, ლევან ბერძენიშვილი- საპროკურორო ეთიკას და ეკატერინე შენგელია - სანოტარო ეთიკას. ისინი ერთი კურსის ფარგლებში ისინი კითხულობდნენ ლექციებს, თუმცა გადანაწილებული ჰქონდათ თემატიკა.

იურიდიულ კლინიკასა და პრაქტიკული სამართლის კლინიკასთან მიმართებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრაქტიკული სამართლის კლინიკა სამართლის ერთგვარი პოპულარიზაცია, სტუდენტები საგანმანათლებლო სკოლებში ლექციებს უკითხავდნენ მე-10 და მე-11 კლასის მოსწავლეებს და ეს შეიცავდა პრაქტიკულ კომპონენტებსაც.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი არც თუ პატარაა. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ პროფესიით დასაქმებული იყო კურსდამთავრებულთა დაახლოებით 70%.

საბჭოს მიერ სხდომის მიმდინარეობის დროს გაიცა შემდეგი რეკომენდაციები:

1. შედარებითი კერძო სამართალის სილაბუსების სტრუქტურის დახვეწა, გამდიდრდეს და გადახალისდეს ლიტერატურა, განსაკუთრებით ანგლო ამერიკის ქვეყნების სამართლის ნაწილში.
2. მოთხოვნის უზრუნველყოფის სამართლის სილაბუსი შეივსოს თემატიკის მიხედვით, კერძოდ დაემატოს საბანკო გარანტიის ნაწილი.
3. საბანკო და სადაზღვეო სამართლის სილაბუსებში განახლდეს ლიტერატურა და ამასთანავე სილაბუსის შინაარსი და თემატიკა მიესადაგოს მის სათაურს, პრაქტიკული ელემენტები მიესადაგოს საგნების, საბანკო სამართალი საბანკო ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკისა და სადაზღვეო სამართალი სადაზღვეო ხელშეკრულებათა მეთოდიკის სათაურებს.
4. ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების სილაბუსში შეიცვალოს ძირითადი ლიტერატურა და გამდიდრდეს ახალი ლიტერატურით.
5. სილაბუსებში წარმოდგენილი საკითხები შინაარსობრივად მიესადაგოს სამაგისტრო დონის მოთხოვნებს.

შესვენება გამოცხადდა: 18:14 საათზე

სხდომა განახლდა: 18:17 საათზე

საბჭოს სხდომა დატოვა თეა მჭედლურმა.

საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით აკრედიტაციის მეორე სტანდარტი გადავიდა მეტწილად შესაბამისობაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 13

მოწინააღმდეგე-0

გადაწყვეტილება:

"განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე - 3 და მე - 3^1 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის

მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის "სამართლის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 6 თვე.

3. შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა თეა ნადირაძემ სხდომის დაწყებამდე განმარტა, რომ შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა წარმოადგინა განაცხადი ინფორმატიკის ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაციით, თუმცა შემდგომ აკრედიტაციის პროცესში ექსპერტების დასკვნაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, მიეთითა ფართო კვალიფიკაცია ინჟინერიის მიმართულებით და ეს შეცდომა დასკვნიდან გადავიდა ოქმშიც.

საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა დღის წესრიგით გათვალისწინებული მესამე საკითხი. საბჭოს წევრს, ხათუნა თოდაძეს ჰქონდა შეკითხვა წარმოდგენილი ორი პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციებთან დაკავშირებით, თუმცა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომელმა, თამუნა აფრასიძემ მას განუმარტა რომ საუბარი იყო არა ორ, არამედ ერთ პროგრამზე.
მან აღნიშნა, 2014 წელს შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტმა ცენტრში აკრედიტაციის მიზნით წარმოადგინა ორი საგანმანათლებლო პროგრამა ერთი განაცხადით, პირველი იყო ,,პროგრამირებისა და ვებ დეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით ინფორმატიკის ბაკალავრი, ხოლო მეორე ,,კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში. ცენტრის დირექტორის 2014 წლის 16 ივლისის №399 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ორივე ზემოთაღნიშნულ პროგრამაზე. ცენტრის თანამშრომლის განმარტებით, ორივე პროგრამაზე აკრედიტაციის მიზნით მივლენილი იყო ექსპერტთა ერთი და იმავე ჯგუფი და ორივე პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 2014 წლის 25 ივლისს.
2019 წლის 18 მარტს დაწესებულებამ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოადგინა ,,პროგრამირებისა და ვებ დეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამა შეცვლილი სახელწოდებით ,,ინფორმატიკის" საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია მითითებული ჰქონდა კვლავ ინფორმატიკის ბაკალავრი. სააკრედიტაციო წარმოების პროცესში გამოვლინდა, რომ 2014 წელს დაშვებული იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, 2014 წლის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ორივე პროგრამაზე შეცდომით იქნა მითითებული ინჟინერიის ბაკალავრის მისანიჭებელი კვალიფიკაცია, ,,ვებ დეველოპმენტის" პროგრამაზე ნაცვლად ინფორმატიკის ბაკალავრისა მითითებულ იქნა ინჟინერიის ბაკალავრის კვალიფიკაცია, შესაბამისად აკრედიტაციის საბჭომ ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება და ოქმშიც შეცდომით გადავიდა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინრე, ცენტრის თანამშრომლის თქმით, მიზანშეწონილი იქნებოდა 2014 წლის 25 ივლისის №19 ოქმის 12-ე ნაწილში ცვლილების განხორციელება და შპს

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პროგრამირებისა და ვებ დეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციად ინფორმატიკის ბაკალავრის მითითება.
ცენტრის თანამშრომელმა დაამატა, რომ 2018 წელს დაწესებულებამ წერილით მიმართა რეესტრის სამმართველოს აღნიშნული საკითხის გასწორებასთან დაკავშირებით და მიმდინარე დღეს დღის წესრიგით განისაზღვრა მისი განხილვა.
საბჭოს წევრი, ლევან გორდეზიანი დაინტერესდა ჰყავდა თუ არა კურსდამთავრებულები პროგრამას 4 წლის განმავლობაში, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მეორე პროგრამას ჰყავდა კურსდამთავრებული და იქაც ფიქსირდებოდა ტექნიკური ხარვეზი, ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში, თუმცა აღნიშნული საკითხი მიმდინარე დღის წესრიგით არ იყო გათვალისწინებული, დაწესებულების მიერ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ოფიციალური წერილობითი მიმართვის შემთხვევაში ჩაინიშნებოდა მისი განხილვაც.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 12

მოწინააღმდეგე-0

გადაწყვეტილება:

საბჭომ გადაწყვიტა გასწორებულიყო ტექნიკური შეცდომა და შპს ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის ,,პროგრამირებისა და ვებ დეველოპმენტის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №171-ე გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად ცნობილ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 25 ივლისის №19 სხდომის ოქმის მე-12 ნაწილში და ,,პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ინფორმატიკის ბაკალავრი.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა 18:25 საათზე.

თავმჯდომარე
ქეთევან ქოქრაშვილი

მდივანი
ნინო ლიპარტია